საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

29 დეკემბერი, 2011 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 102

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 39-ე მუხლისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 71 – ე მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში, კერძოდ:

ა) ამოღებულ იქნას წესდების 39-ე მუხლი;

ბ) წესდების 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ემერიტუსის წოდების მქონე პირისთვის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტი. ამასთანავე, ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საგანმანათლებლო და შემოქმედებით-სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით ამ დაწესებულების ბიუჯეტიდან.

გ) წესდების 51-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, კონცერტმაისტერი და საშემსრულებლო დარგის სპეციალისტი.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**